სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება საქართველოში:

ოთხი საბაზისო კვლევის შედეგები

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

ENPARD
EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME FOR AGRICULTURE AND RURAL DEVELOPMENT



რუკა მოწოდებულია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ

აბაშა
(სამეგრელო)
ხობი
(სამეგრელო)
სენაკი
(სამეგრელო)
ოზურგეთი
(გურია)
ლანჩხუთი
(გურია)
ჩოხატაური
(გურია)
ცაგერი
(რაჭა)

სამტრედია
(იმერეთი)
ვანი
(იმერეთი)
საჩხერე
(იმერეთი)
ჭიათურა
(იმერეთი)
კასპი
(შიდა ქართლი)
გორი
(შიდა ქართლი)
ქარელი
(შიდა ქართლი)
ხაშური
(შიდა ქართლი)
გარდაბანი
(ქვემო ქართლი)

მარნეული
(ქვემო ქართლი)
თეთრიწყარო
(ქვემო ქართლი)
ახალქალაქი
(სამცხე-ჯავახეთი)
ნინოწმინდა
(სამცხე-ჯავახეთი)
საგარეჯო
(კახეთი)
გურჯაანი
(კახეთი)
ყვარელი
(კახეთი)

ზუგდიდი
(სამეგრელო)
წალენჯიხა
(სამეგრელო)
ჩხოროწყუ
(სამეგრელო)
კასპი
(შიდა ქართლი)
გორი
(შიდა ქართლი)
მცხეთა
(მცხეთა)
თიანეთი
(მცხეთა)
დუშეთი
(მცხეთა)

წალკა
(ქვემო ქართლი)
დმანისი
(ქვემო ქართლი)
ბოლნისი
(ქვემო ქართლი)
თელავი
(კახეთი)
ახმეტა
(კახეთი)

ხონი
(იმერეთი)
ტყიბული
(იმერეთი)
თერჯოლა
(იმერეთი)
ბაღდათი
(იმერეთი)
ზესტაფონი
(იმერეთი)
ხარაგაული
(იმერეთი)
წყალტუბო
(იმერეთი)
ონი
(რაჭა)
ამბროლაური
(რაჭა)

საბაზისო კვლევის მიზნები

- უკეთესად შესწავლა იმ ეკონომიკური ქცევის, პირობებისა და ორგანიზაციული სტრუქტურისა, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორსა და აგრარულ ეკონომიკაში არსებობს
  - პროგრამისათვის და ზოგადი ცოდნის შეგროვებისათვის
- ძირითადი ცვლილებებისათვის თვალის მიდევნება (მაგ: სოფლად სიღარიბის შემცირება, საკვები პროდუქციის ზრდა და ა.შ.) პროექტის სამიზნე არეალში (2014-2018 წლებში)

რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია

2,800 რესპოდენტი სოფლად და ქალაქად მცხოვრები ოჯახები	1,000 რესპოდენტი სოფლად მცხოვრები ოჯახები	500 რესპოდენტი სოფლად მცხოვრები ოჯახები	384 რესპოდენტი ოჯახები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობასთან
მონაცემების შეგროვება მოხდა *ივნისი-აგვისტო*, 2014	მონაცემები შეგროვდა *გაზაფხულზე*, 2014	მონაცემების შეგროვება მოხდა *აპრილი-მაისი*, 2014	მონაცემების შეგროვება მოხდა *თებერვალი-აპრილი*, 2014

ძირითადი შედეგები

სოფლის მეურნეობა, სიღარიბე, გენდერი, კოოპერატივები

სოფლის მეურნეობა

მიწა, წარმოება, გასაღება

მიწა

- შინამეურნეობების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას ეკუთვნოდა ან იყენებდა მიწას 2013 წელს
- თითქმის ყველა მიწის ნაკვეთი რომელიც გამოყენებულ იქნა ეკუთვნოდა შინამეურნეობას; მიწის იჯარით გაცემის/გასხვისების ძალიან მცირე შემთხვევა დაფიქსირდა
- ყველა მიწის საშუალო ფართობი, რაც კი ერთ შინამეურნეობას ეკუთვნოდა, იყო ტიპიურად ნაკლები ვიდრე 1-1,25 ჰექტარი, თუმცა დაფიქსირდა მიწის ფლობის/გამოყენების სხვადასხვა ვარიაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით
  - ერთი მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი ტიპიურად მერყეობდა 0,5-დან 1 ჰექტრამდე
  - დაფიქსირდა გეოგრაფიულად დანაწევრებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც ერთი ოჯახის საკუთრებაში ან სარგებლობაშია

მიწა

- ზოგ შემთხვევაში მიწა დაუმუშავებელია
  - შეზღუდული მექანიზაცია და ზოგადად მიწის დაბალი ხარისხი/პირობები (Mercy Corps)
    - მანძილი/დაშორება შინამეურნეობასა და მიწის ნაკვეთს შორის დასახელდა მიწის დაუმუშავებლობის ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად (სოფლის მოსახლეობის 19%, PIN)
  - შესაბამისი შხამ-ქიმიკატების საჭიროება, უკეთესი ირიგაციის სისტემა, მიწის ნაკვეთებისთვის შესაბამისი ტექნიკის უკმარისობა; მექანიზაციის ცენტრების სიშორე; უკეთესი ხარისხის სათესლე მასალაზე ხელმისაწვდომობის არქონა (Mercy Corps)
  - ირიგაციის ნაკლებობა და სუსტად განვიტარებული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა (Oxfam)

მიწა

დასავლეთ საქართველოში:

- ოჯახების უმეტესობას აქვს საბუთი, რაც ამტკიცებს მათ მფლობელობაში არსებულ მიწის საკუთრებას, და მათი უმეტესობა აღიქვამს ამას როგორც მთავრობის მიერ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (CARE)

- მცირე შემთხვევები დაფიქსირდა მიწის საკუთრების დარღვევასთან დაკავშირებით (CARE), თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა სლაიდზე, შემთხვევები დაფიქსირდა მიწის დაუცველობასთან დაკავშირებით (Oxfam)

სასოფლო-სამეურნეო წარმოება

- თითქმის ყველა გამოკითხული შინამეურნეობა რაღაც ხარისხით მაინც ჩართული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში
- იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორივე სასოფლო და ურბანული შინამეურნეობები იქნა გამოკითხული, ოჯახების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა აწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას 2013 წელს (CARE)

სასოფლო-სამეურნეო წარმოება

- ყველაზე ხშირად წარმოებული პროდუქტი იყო სიმინდი
  - აგრარული ოჯახების 89% (PIN); სასოფლო ოჯახების 69% (Oxfam); ყველა შინამეურნეობის 68% (CARE)
  - სიმინდი ძირითადად იწარმოება საკუთარი მოხმარებისთვის ან პირუტყვის საკვებად
- ბევრ შინამეურნეობას ყავს ასევე პირუყტვი, ფრინველი, თევზი და ფუტკარი; მათ შორის განვიხილოთ რამდენიმე მონაცემი:
  - შინამეურნეობების 71% ყავს პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკარი (Mercy Corps); თუმცაღა მათ უმეტესობას ყავს მხოლოდ ორი ძროხა
  - დაბალია წველადობის მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია საძოვრებისა და საკვების სიმცირით და ჯიშების გაუმჯობესების ნაკლებობით (Mercy Corps)
- მცირე, თუმცა დაფიქსირდა ოჯახების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ჩართულები არიან შემდეგ საქმიანობებში, როგორიცაა: პროდუქციის კონსოლიდაცია/შეგროვება, გადამუშავება, ნედლეულის/მასალების მიწოდება, ვეტერინარული მომსახურებების მიწოდება და სხვ. (აგრარული შინამეურნეობების დაახლოებით 4% – PIN).

ძირითადი პროდუქცია

(შინამეურნეობების პროცენტული მონაცემები თითოეული საქონლის წარმოებაზე)



თხილის წარმოება

(შინამეურნეობების პროცენტული მონაცემები)



თხილის წარმოების საშუალო მოცულობა (კგ)

(თხილის მწარმოებელ შინამეურნეობებს შორის)



Defending dignity.
Fighting poverty.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება

- უმეტეს შემთხვევაში შინამეურნეობები იყენებენ საკუთარ შრომის რესურსებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში, თუმცა აგრარული შინამეურნეობების 12%-მა გამოიყენა დაქირავებული მუშახელი 2013 წელს, სულ მცირე ერთხელ მაინც (PIN)

წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორები

- არასაიმედო/ცვალებადი ამინდი (CARE; Oxfam)
- ირიგაცია/დრენაჟი (Oxfam)
- არასაკმარისი წვიმა (CARE; Oxfam)
- მიწის მცირე ნაკვეთები (Oxfam)
- საწარმოო ფაქტორებზე/ნედლეულზე მაღალი ფასები (Oxfam)
- დაავადებები და მავნებლები (CARE; Oxfam)

რა დაგეხმარებოდათ ყველაზე მეტად მოსავლის გაუმჯობესებაში?

- რესპოდენტები რომლებსაც მიწა ეკუთვნით:

	1st place	2nd place	3rd place
სასოფლო-სამეურნეო იარაღები (მაგ: მოტობლოკები, სათესები)	14.3%	10.5%	11.6%
პესტიციდები	32.0%	23.0%	13.9%
ახალი ტექნოლოგიები	2.9%	7.8%	6.1%
სათესლე მასალა	12.2%	20.8%	9.6%
ირიგაციის გაუმჯობესება	2.09%	14.0%	11.0%
მინი-ტრაქტორით უზრუნველყოფა	1.8%	0.1%	1.0%
საბაზრო კავშირების განვითარებაში დახმარება	0.5%	1.4%	
არ ვიცი	6.8%	21.4%	47.0%

მარკეტინგი/გასაღება

- ის შინამეურნეობები რომლებიც ყიდიან თავიანთ აგრარულ პროდუქციას ამას აკეტებენ ადგილობრივი გადამყიდველების მეშვეობით, ყიდიან პირდაპირ სახლიდან/ფერმიდან, ან პირდაპირ მიაქვთ თავიანთი პროდუქცია საბითუმო ბაზრებზე; თუმცა კვლევამ ასევე გამოავლინა მნიშვნელოვანი ვარიაცია გაყიდვის პრაქტიკის, საქონლისა და მუნიციპალიტეტების დონეზე (CARE, Oxfam)
- მცირე რაოდენობის შენამეურნეობები ყიდიან თავიანთ აგრარულ პროდუქციას კოოპერატივების მეშვეობით პირდაპირ, საცალო მოვაჭრეებზე ან გადამამუშავებლებზე (CARE)

გაყიდული თხილის საშუალო პროცენტული რაოდენობა

(შინამეურნეობები რომლებიც თხილს აწარმოებენ)



Defending dignity.
Fighting poverty.

მარკეტინგული ქცევა

- შინამეურნეობების 48%-მა გაყიდა აგრარული პროდუქციის ნაწილი, თუმცა პროდუქციისა და გაყიდვების მოცულობა საკმაოდ მცირე იყო (Mercy Corps)
- აგრარული შინამეურნეობების 61% ძირიტადად იყო პირველადი მწარმოებლები რომლებიც არ ყიდიან პროდუქციას ანდა უკიდურეს შემთხევაში ყიდიან პროდუქციას ბაზარზე, ხოლო სასოფლო, აგრარული შონამეურნეობების 35%-მა გაყიდა თავიანთი აგრარული პროდუქცია ბაზარზე რეგულარულად (PIN)
- შინამეურნეობების 70%-მა გაყიდა სულ მცირე რაოდენობა მაინც თავიანთი პროდუქციიდან; ეს ძირითადად დამახასიათებელი იყო სამეგრელოსა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში (Oxfam).

მარკეტინგის/გასაღების ხელისშემშლელი ფაქტორები

- საქონლის ტრანსპორტირება
  - ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა
    - ოჯახები, რომლებიც ყიდნენ თავიანთ პროდუქციას, ბაზრამდე მისაღწევად, ხშირად სარგებლობდნენ საჯარო ტრანსპორტით, იყენებდნენ თავიანთ მანქანებს, ან ჩაბმული იყვნენ ერთობლივ მარკეტინგში (Oxfam)
- გაფუჭებული პროდუქცია
- პროდუქციის დაბალი ფასები და ფასის სეზონური ცვალებადობა
- ბაზრის შუამავლებთან დაკავშირებული პრობლემები
  - ადგილობრივ მოვაჭრეებზე/შემგროვებლებზე დიდად დამოკიდებულება (CARE, Oxfam)

სიღარიბე

სუბიექტური შეფასება, შემოსავლები, საცხოვრებელი პირობები, სასურსათო უსაფრთხოება

სიღარიბის სუბიექტური შეფასება

- რესპოდენტების უმეტესობა ან ნაკლებად იყო კმაყოფილი ან საერთოდ არ იყო კმაყოფილი თავიანთი შინამეურნეობის მიმდინარე ფინასური მდგომარეობით (CARE, Oxfam).
- ბევრ ოჯახს აქვს ვალი/კრედიტი (დაახლოებით 55%, Oxfam)
  - შინამეურნეობის საშუალო ვალის ოდენობა დაახლოებით 3,000 ლარია
- ყველაზე ხშირად კრედიტის წყარო არის ბანკები ან მიკროსაფინანსო ინსტიტუტები (CARE, Oxfam), და არა მეგობრები, ნათესავები თუ მეზობლები
- თუ გავითვალისწინებთ ყველა სესხს, მათგან ცოტა თუ იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (CARE, Oxfam)

სიღარიბის სუბიექტური შეფასება





შემოსავლები და დანახარჯები

- ბევრი ოჯახი დამოკიდებულია პენსიიდან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან, სოციალური დაზღვევიდან, ფულადი გზავნილებიდან და მომსახურების სექტორში (საჯარო და კერძო) მუშაობიდან მიღებულ შემოსავლებზე
  - შინამეურნეობის საშუალო ხელფასი მერყეობს 380 ლარიდან (Mercy Corps) 425 ლარამდე (Oxfam) შუალედში
- შინამეურნეობისათვის მთავარი დანახარჯი მოდის საკვებზე
  - შინამეურნეობის შემოსავლის დაახლოების ნახევარი იხარჯება საკვებზე (Mercy Corps); სამომხმარებლო ხარჯების თითქმის 70% მოდიოდა საკვებზე (Oxfam)
  - შეზღუდულია რესურსები საჭირო მედიკამენტების შესაძენად (54%, Mercy Corps); გარდა საკვებისა, ხარჯები ძირითადად მიემართება სამედიცინო მომსახურებასა და კომუნალურ ხარჯებზე (Oxfam)

შემოსავლის წყარო	ოჯახების რაოდენობა რომლებმაც ამ წყაროდან მიიღეს შემოსავალი	საშუალო შემოსავალი (GEL) ერთ ოჯახზე (ბოლო 12 თვე)
მემცენარეობა	217	2,561
მეცხოველეობა	203	2,835
თვითდასაქმებული ან საკუთარი ბიზნესის მფლობა	68	5,535
დაქირავებული (ბიზნესში, სამთავრობო ან არასამთავრობო სექტორში)	162	5,216
პენსია (ყველა სახის), შემწეობა და სხვ.	251	2,639
გრანტები, ვაუჩერები, სხვადასხვა დაწესებულებებიდან დახმარებები	40	1,203
წილები, დივიდენდები, ფასიანი ქაღალდები და სხვ.	3	230
ქონების იჯარა	3	1,257
მემკვიდრეობა/ალიმენტი	0	0
გზავნილები/ახლობლებისგან საჩუქრები	14	1,166
მთლიანი შემოსავალი		8,052

საცხოვრებელი პირობები

- შეზღუდული ხელმისაწვდომობა ცხელ წყალზე და სახლში მდებარე სააბაზანოზე/ტუალეტზე
- შედარებით ცუდი საბინაო პირობები
- თუმცა, როგორც ჩანს, ბევრისთვის არსებობს საცული და საიმედო სანაცნობო/სანათესაო წრე (თუმცა, მნიშვნელოვანად, არა ყველასთვის): რესპოდენტების 71% აღნიშნავდა, რომ თუ მათ ოჯახს დაუდგებოდა რთული პერიოდი, მათი მეზობლები, მეგობრები და ნათესავები გაუწევდნენ დახმარებას (Oxfam).

სასურსათო უსაფრთხოება

- ბევრ შინამეურნეობას ჰქონია სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოცდილება
  - მაგალითად, შინამეურნეობების 75% განიცდიდა საკვების დეფიციტს, რომელიც გასული წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი თვე გრძელდებოდა (PIN)
  - თებერვლიდან ივნისამდე პერიოდი ჩანს რომ არის ყველაზე დაუცველი თვეები სასურსათო უსაფრთხოების კუთხით (PIN)

- თებერვლიდან აპრილამდე რესპოდენტების 64%-ს არ აქვთ საკმარისი საკვები რომ დააკმაყოფილონ თავიანთი ოჯახისთვის საჭირო რაოდენობა (Oxfam)
  - აღმოჩნდა, რომ რესპოდენტების დაახლოებით 51% ცხოვრობდა შესაბამისი რაოდენობის საკვების ქონის მიჯნაზე/საზღვარზე (Oxfam)
  - აღმოჩნდა რომ მარტიდან მაისამდე, როდესაც შინამეურნეობას ჭირდება დამატებითი სახსრები აგრარული საქმიანობისათვის, შინამეურნეობას გააჩნია ხელმისაწვდომი რესურსების ყველაზე ნაკლები რაოდენობა (Oxfam)

სასურსათო უსაფრთხოება

- ყოველთვიური ხარჯების პროპორცია საკვებზე:

საკვებზე დანახარჯები	% შინამეურნეობა	# შინამეურნეობა
From 1 to 30%	2.8%	14
From 30 to 50%	25.2%	126
From 50 to 80%	49.8%	249
From 80 to 100%	22.2%	111
ჯამი	100%	500

- მსგავსი შედეგები დაფიქსირდა PIN-ის შემთხვევაშიც

გენდერი

გადაწყვეტილების მიღება, სოფლის მეურნეობაში ჩართულობა, კოოპერატივის წევრობა

გადაწყვეტილების მიღება

- საკმაოდ ძლიერი გენდერული სტერეოტიპები გამოაშკარავდა რესპონდენტთა შორის (Mercy Corps)
  - განსხვავებული საქმიანობა სქესის მიხედვით (Mercy Corps, Oxfam)
  - განსხვავებული როლები სქესის მიხედვით: აღქმა/გაგება, რომ ქალის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს ოჯახი, მაშინ როცა კაცისთვის უმთავრესი პროიორიტეტი უნდა იყოს სამსახური (Mercy Corps)
- მიუხედავად ამისა, არსებობს გაუმჯობესების (ჩართულობის ზრდის) ტენდენცია საოჯახო გადაწყვეტილებების მიღებაში, თუმცა ეს ნაკლებად ეხება სასოფლო-სამურნეო წარმოებასა და მიწის მართვას (Mercy Corps)

გადაწყვეტილების მიღება

- ქვემო ქართლში (სადაც დიდი რაოდენობით აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს), რესპოდენტები ნაკლებად ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ ქალსა და კაცს უნდა ქონდეთ თანაბარი როლები გადაწყვეტილების მიღებისას როგორც საოჯახო საკითხებთან, ისე ფულის დახარჯვასთან დაკავშირებით (Oxfam).
- ამასთანავე, უმეტესობა რესპოდენტებისა ქვემო ქართლიდან არ ეთანხმებოდა მოსაზრებას რომ თუ ცოლ-ქმარს შორის მხოლოდ ერთია დასაქმებული ეს აუცილებლად კაცი უნდა იყოს (Oxfam).

ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული შედეგები

- ბარიერები, რომლებსაც აწყდებიან ქალები (Oxfam):
  - შეზღუდული ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე
  - საკუთრების უფლება
    - მიწების/სახლების მფლობელები, როგორც წესი, მამაკაცები არიან
    - ანალოგიურად, PIN-ის მონაცემებით, უფრო სავარაუდოა, რომ მამაკაცს ურჩევნია რომ თავის სახელზე ქონდეს კრედიტი ან ოჯახის ბიზნესი
  - რესურსებზე/კაპიტალზე ხელმისაწვდომობა
  - ინფორმაციაზე წვდომა (განსაკუთრებით საჯარო შეხვედრებზე და დიალოგებზე)
  - გარკვეულ ადგილებში თავისუფლად გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხები
- ქალებისთვის (68%) უფრო სავარაუდოა რომ მთავარი საქმიანობა იქნება სოფლის მეურნეობა ვიდრე მამაკაცებისათვის (61%) (CARE)

მიწის მფლობელობა სქესის მიხედვით

მიწის ლეგალური მესაკუთრე	% შინამეურნეობა	# შინამეურნეობა
კაცი	63.9%	310
ქალი	15.1%	73
ორივე	3.1%	15
არცერთი	17.9%	87
ჯამი	100.0%	485

OXFAM

საოჯახო პასუხისმგებლობა	კაცი		ქალი		ორივე		არ ვიცი		ჯამი	
	N	%	N	%	N	%	N	%	N	%
პირუტყვზე ზრუნვა	43	9.8	158	35.8	238	54.0	2	0.5	441	100
საოჯახო მებოსტნეობა	52	10.6	153	31.2	284	58.0	1	0.2	490	100
ველური და სამკურნალო მცენარეების, ხილისა და კენკრის შეგროვება	21	21.9	48	50.0	14	14.6	13	13.5	96	100
ბაზარზე პროდუქციის გაყიდვა	67	39.4	57	33.5	34	20.0	12	7.1	170	100
სახლის გარეთ მუშაობა	156	58.4	67	25.1	38	14.2	6	2.2	267	100
საჭმლის მომზადება	29	5.8	458	92.3	9	1.8	0	0.0	496	100
სახლის დასუფთავება	39	7.8	453	91.0	6	1.2	0	0.0	498	100
სახლის რემონტი/შეკეტება	367	82.8	45	10.2	30	6.8	1	0.2	443	100
ბავშვებზე ზრუნვა	12	4.3	231	82.8	32	11.5	4	1.4	279	100

OXFAM

შენიშვნა: უპასუხოდ დატოვებული პასუხები ჩაითვალა როგორც გაცდენილი. ცხრილი წარმოადგენს მხოლოდ რეალურ ციფრებს

კოოპერატივები

ინფორმირებულობა, წევრობა,
ინტერესი/მოტივაცია

კოოპერაცია

- ამჟამად წევრობის დაბალი დონე (შინამეურნეობების 1%: CARE; გამოკითხული შინამეურნეობების 0.8%: Oxfam), თუმცა დიდი ინტერესი (შინამეურნეობების 31%: CARE; შინამეურნეობების 17%: Mercy Corps)
- რამოდენიმე არაფორმალური კოოპერირების ფორმები, რომლებიც შეიძლება დარეგისტრირდეს (ფორმალიზება მოხდეს)

ინფორმირებულობა

- ინფორმირებულობის კარგი დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით (მეტ-ნაკლებად შეესაბამება FAO-ს მიერ ჩატარებულ საბაზისო შეფასებას ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, მიუხედავად კვლევის ჩატარების განსხვავებული დროისა)
  - რესპოდენტების 29%-ს სმენია ფერმერულ კოოპერატივებზე (Mercy Corps)
  - თუმცა რესპოდენტების დაახლოებით 5%-ს სმენია მისსავე რაიონში მომუშავე/ფუნქციონირებად კოოპერატივის შესახებ (Oxfam)
- შინამეურნეობების გარკვეულმა რაოდენობამ გამოავლინა გარკვეული ცოდნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანამედროვე პრინციპების შესახებ (16%: PIN; 13%: Oxfam)
- ინფორმაციის წყაროები: ტელევიზია, ადგილობრივი მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, თემის წევრები

ინფორმირებულობა

გსმენიათ თუ არა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე ინიციატივის, მთელი ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების მხარდაჭერის შესახებ?

(გამოკითხულთა %)



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ინიციატივასთან დაკავშირებით ინფორმირებულობა

(გამოკითხულთა რაოდენობა (%) მუნიციპალიტეტების მიხედვით)



შენიშვნა: შედეგები არ გამოხატავს პროექტის ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ინდივიდების აზრს და ეფუძვნება თითოეული შინამეურნეობიდან გამოკითხულ რესპოდენტთან ინტერვიუს.

ინფორმირებულობა

- თუმცაღა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ საქართველოს კანონთან და მის სამართლებრივი დებულებებთან დაკავშირებით ძალიან დაბალი ინფორმირებულობის დონეა (CARE, Oxfam)
  - ამასთან დაკავშირებული ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი (და ხელმისაწვდომი);
  - ასევე კომუნიკაციის გაუმჯობესება არა-ქართულ მოსახლეობასთან (ქვემო ქართლი, მაგალითად), იმისათვის, რომ გაიზარდოს ინფორმირებულობა და გაუმჯობესდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობა.

რატომ სურთ კოოპერატივში გაერთიანება?

- **უფრო მაღალი შემოსავლები** (CARE, Mercy Corps, Oxfam)
- **უფრო მაღალი პროდუქტიულობის დონე** (CARE, Mercy Corps, Oxfam)
- **დასაქმება** (CARE, Oxfam)
- **პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება** (Mercy Corps)
- **ხელმისაწვდომობა საწარმოო საშუალებებსა და ინფრასტრუქტურაზე** (CARE, Oxfam)
- **გაყიდვების არხების/ბაზარზე წვდომის ორგანიზების გაუმჯობესება** (Mercy Corps, Oxfam)

რატომ არ სურთ კოოპერატივში გაერთიანება?

- “მირჩევნია ვიყო დამოუკიდებელი” (CARE) ან “მირჩევნია ვიმუშაო დამოუკიდებლად” (Mercy Corps), “შეზღუდული ინდივიდუალიზმი” (Oxfam)
- არ გეგმავენ გააფართოვონ ფერმერული საქმიანობები (Mercy Corps)
- უნდობლობა (CARE)
- უუნარობა ასაკის/ავადმყოფობის გამო (CARE)
- წევრებს შორის კონფლიქტი (Oxfam)

შეზღუდვები და გაკვეთილები

- ოთხი კონსორციუმი, ოთხი საბაზისო კვლევა
  - გასხვავებული შერჩევის დიზაინი, შერჩევის მოცულობა, კვლევის კითხვარი, საველე სამუშოების თარიღები და ა.შ.
  - თითოეული კვლევის კითხვარი მორგებული იყო კონსორციუმის მოთხოვნებს <> განზოგადების ანდა ეროვნულ დონეზე წარმოდგენილი სტატისტიკის ხარჯზე
  - ათასობით გაყვაველი ყვავილი (თუმცა შიგადაშიგ სარეველებით!)

მადლობა

გვინდა მადლობა გადავუხადოთ სილვია სანხუანს (CARE) და ნათია სამსონიშვილს (Oxfam) პრეზენტაციის მომზადებისას კომენტარების მოწოდებისათვის. ნებისმიერი არსებული შეცდომა ჩვენი საკუთარია.

განსაკუთრებული მადლობა ბუბა ჯაფარლის, რუსუდან ნადირაძეს და ნათია სამსონიშვილს თავიანთი საბაზისო კვლევების მთავარი შედეგების მოკლე რეზიუმეების მომზადებისთვის. ეს რეზიუმეები, ამასთანავე ყველა კონსორციუმის საბაზისო კვლევების სრული ანგარიშები ხელმისაწვდომია თხოვნის საფუძველზე.

ეს პრეზენტაცია მომზადებულია ევროკავშირის, Austrian Development Cooperation-ის, and CARE Austria-ს მხარდაჭერით. შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ISET-PI და არა ევროკავშირი, Austrian Development Cooperation-ი, CARE Austria, CARE International in the Caucasus-ი, Mercy Corps-ი, Oxfam UK-ი, ან People In Need-ი.

ფოტო თავფურცელზე: ნინო კაკულია

ფრესკა ხობში

მადლობა!

ნინო კაკულია
(n.kakulia@iset.ge)

ირაკლი კოჭლამაზაშვილი
(i.kochlamazashvili@iset.ge)

ადამ პელილო
(adam.pellillo@iset.ge)